განკარგულება:**g-49. 4926133001**
თარიღი:**13/05/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების გატარებისათვის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 27 აპრილის N48-4826117131 წერილი, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების გატარებისათვის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვასა და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე**:**

1. მოწონებულ იქნეს „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის #96 დადგენილების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების გატარებისათვის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებება წარმოდგენილი დანართის მიხედვით (თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართიქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

კობა გურეშიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების გატარებისათვის, განსახორციელებელი პროექტების ნუსხა

#	რეგიონი	მუნიციპალ იტეტი	დასახლება	ადგილმდებარეო ბა /მისამართი (ქუჩის ან უბნის სახელწოდება)	მდგომარეობის აღწერა	სამუშაოების სავარაუდო ღირებულება (ლარი)
1	იმერეთი	წყალტუბო	სოფელ მაღლაკში, მდინარე ოღასკურას კალაპოტის წმენდა დაღრმავება და რკინა-ბეტონის ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა,	ოქონიის უბანი	სოფელ მაღლაკში მდინარე ოღასკურა, ოქონიის უბანში, სისტემატიურად მოსახლეობას აყენებს დიდ ზიანს, კერძოდ იტბორება სასაფლაო, საკარმიდამო ნაკვეთები და საცხოვრებელი სახლები. სტიქიის თავიდან ასარიდებლად საჭიროა მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნება, ამოწმენდა, დაღრმავება და რკინა-ბეტონის კედლების ს მოწყობა.	733 000
2	იმერეთი	წყალტუბო	სოფელ წყალტუბოში ე.წ. ,,თავუკუღმა ღელე''-ს კალაპოტის დაღრმავება, წმენდა გასწორხაზოვნე ბა, გამსვლელი კოლექტორის რკინა-ბეტონით მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება	სოფ.წყალტუბო, ე.წ ,,თავუკუღმა ღელე''	სოფელ წყალტუბოში ე.წ. ,,თავუკუღმა ღელე'' იკვებება კარსტრული მღვიმეებით, ხშირი წვიმების დროს ხდება ადიდება რის შედეგად სისტემატიურად იტბორება მოსახლეობა, მისასვლელი გზა, საკარმიდამო ნაკვეთები. სტიქიის პრევენციის მიზნით საჭიროა კალაპოტის დაღრმავება, გასწორხაზოვნება, გამსვლელი რკინაბეტონის კოლექტორის მოწყობა.	935 000